განკარგულება:**გ-63. 63242184**
თარიღი:**05/08/2024**

ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, **ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 18000 (თვრამეტიათასი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 9000 (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული

ღირებულება.

2.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის **სოფელ ბაშში მდებარე** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

2.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.3. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარი.

2.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

2.5. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარი.

2.6. პირობად განისაზღვროს, რომ:

2.6.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

2.6.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

2.6.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

2.6.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი